ოქმი:**ო12.37220811**

თარიღი:**23/03/2022**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 22 მარტი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ჭანიშვილი, ხ. ცერცვაძე, ვლ. ხავთასი, მ. ჩხიკვიშვილი, მ. ვაშალომიძე, გ. სირაძე, ხ. თავდიშვილი, ს. ქარცივაძე, ნ. სარჯველაძე, ნ. ნადირაშვილი, ი. თუთბერიძე, ბ.მელუა

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: ნ. გოლიაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

3. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების მნიშვნელობაზე, ვრცლად წესის შესახებ ისაუბრა თანამომხსენებელმა ნ. გოლიაძემ, შემდეგ უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიში - კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ანგარიში წარედგინათ საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, კომისიის წევრებს გააცნო სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას, მხარი დაუჭირეს მის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“- მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

3. სახელმწიფო აუდიტის ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე